შპს „თბილისი ლაითინგ“

ს/ნ 404 876 700

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1) 2
3. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ფორმა 2) 4
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3) 5
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (ფორმა 4) 6
6. განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

შპს „თბილისი ლაითინგ“ დაფუძნებულია „მეწარმეთა კანონის შესახებ“ კანონის შესაბამისად.
სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
რეგისტრაციის თარიღი - 27.10.2010წ.
საიდენტიფიკაციო კოდი - 404 876 70
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი N24.
საქმიანობა: სანათი საშუალებების - ნივთების რეალიზაცია;
დამფუძნებელი: მარინა საჯაია (პ/ნ 01003005109) – 100% წილის მფლობელი;

დირექტორი: ანა ბერაძე

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად და ითვალისწინებს ინფორმაციის მომზადებას პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით.
ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ 2024 წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფული და ფულის ეკვივალენტი

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლებიც შეფასებულია ლარში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების/ფულადი აქტივების/ ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სავალუტო ნაშთების გადაფასება ხორციელდება 31 დეკემბერს არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობები აისახება შესაბამისის პერიოდების მოგება-ზარალის უწყისში.
ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

	ანგარიში	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	438.24	757	391
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	1210	11374.35	15029	4875
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (USD)	1220/USD	83	202	416308
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (EURO)	1220/EURO	0	1443	0

ფულს ბანკში ერიცხება 0% საპროცენტო სარგებელი.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის ან გაწეული მომსახურების შედეგად მისაღებ თანხებს. იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო მოთხოვნის მიღება შესაძლებელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში, ან უფრო ნაკლებ ვადაში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საეჭვო ვალების რეზერვის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

	ანგარიში	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	1410	1839	200	10075
მოთხოვნები კერძო პირების მიმართ	1412	1084	2984	753
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	0	0	0
სხვა მოთხოვნები (საბაჟოს მიმართ)	1485	0	0	0

კომპანია წარმოდგენილ მოთხოვნებზე არ ქმნის უიმედო დანაკარგების რეზერვს იმის გამო, რომ არსებობს გონიერი რწმუნებულება, რომ აღნიშნული დებიტორები 2025 წლის ბოლომდე თავის დავალიანებებს დაფარავენ.

გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის ან მომსახურების შესყიდვის მიზნით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. საქონლის იმპორტით მიღების შემთხვევაში, მის თვითღირებულებაში გათვალისწინებულია ყველა ისე ხარჯი, რაც გაწეულია დასაწყობებამდე, გარდა საბაჟოზე გადახდილი დაბრუნებადი საბიუჯეტო თანხებისა (საბაჟოს დღგ).
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება კომპანიაში ხდება ბასს 16-ის და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად. თვითღირებულების განსაზღვრის დროს გაითვალისწინება შესყიდვის და მასზე გაწეული ყველა დანახარჯი, რაც საჭიროა ძირითადი საშუალების სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ერთჯერადად გამოყენებადი ან სხვა აქტივები, რომელთა მომსახურების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, აღირიცხება როგორც სხვა აქტივები.
ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ცვეთის დარიცხვა ხდება მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვის დროს გათვალისწინებულია მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით:

ოფისის აღჭურვილობა	8 წლამდე
ოფისის ავეჯი და ინვენტარი	10 წლამდე
სხვა გრძელვადიანი აქტივი	8 წლამდე

თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშში. გაწეული დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი მაშინ, როდესაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება–ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

_სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება საქონლის ან მომსახურების მომწოდებლებისთვის გადასახდელი თანხები, ასევე დამკვეთების მიერ გადახდილი ავანსები. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ ან ნაკლებ საანგარიშგებო პერიოდში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში აღირიცხება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.
პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნია ვალდებულებები მხოლოდ ადგილობრივი მომწოდებლების, უცხოელი მომწოდებლების მიმართ დავალიანება განულებული აქვს.
სხვა შემთხვევაში უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებები წლის ბოლოს გადაფასდება ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსის მიხედვით ლარში და სხვაობები აღირიცხება როგორც შემოსავალი ან ზარალი კურსთაშორის სხვაობებიდან.

გადასახადები

კომპანია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იხდის შემდეგ გადასახადებს; დღგ, საშემოსავლო, ქონების და მოგების გადასახადებს.
დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციებს კომპანიისთვის წარმოადგენს როგორც საქონლის და მომსახურების მიწოდება დამკვეთებისთვის, ასევე მათგან მიღებული ავანსები.
საშემოსავლო გადასახადით იბეგრება როგორც თანამშრომელზე, ასევე არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული ანაზღაურების თანხები.
ქონების გადასახადის დაანგარიშება ხდება კომპანიის ბალანზე არსებული ქონების ნარჩენი ღირებულების მიხედვით.
მოგების გადასახადის გადახდა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში გაიცემა დივიდენდი,, ამ შემთხვევაში გაითვალისწინება წინა პერიოდებში გადახდილი მოგების გადასახადი. ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაწეულია არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი და ოფშორის ქვეყნებში გადარიცხული ავანსის თანხები, რომელიც კომპანიის შემთხვევაში ყოველთვის დაბრუნებადია იმპორტის მიღების თვეში.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიაში არსებული სასესხო ვალდებულება აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.
კომპანიას ამ ეტაპზე გააჩნია სასესხო ვალდებულება დამფუძნებლების მიმართ, რომელიც არის დაბრუნებადი და საპროცენტო ხარჯის დაანგარიშება ხდება ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული საბაზრო პროცენტის მიხედვით.

საწესდებო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით. კომპანიას წარმოდგენილი აქვს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება, რომელიც მცირდება დივიდენდების გატანის მიხედვით.

დივიდენდი

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც: კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს; მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; შესაძლებელია ამონაგები თანხის და მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლის აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.
მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტმა გააკეთა დაშვება, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არც ერთი არსებული სავაჭრო მოთხოვნა, არ იყო უიმედო და არ საჭიროებდა გაუფასურების რეზერვის შექმნას. რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა დებიტორების არსებითმა ნაწილმა, ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის, გარკვეული ოდენობით დაფარეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული დავალიანება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში.

2024 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭირეობს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას, ან მათ შენიშვნებში ასახვას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12045	17432	21574
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2923	10469	11752
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6157	54244	9115
მარაგები	1014967	965472	1082098
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	1014967	965472	1082098
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	417	4319	14287
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1987	2229	2229
ძირითადი საშუალებები	17629	17962	15245

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1056125	1072127	1156300
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	71820	23640	0
სავაჭრო ვალდებულებები	88234	74064	99806
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	3725	0
საგადასახადო ვალდებულებები	1599	1264	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1589	0	550
სულ ვალდებულებები	163242	102693	100356
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	5000	5000	5000
საემისიო შემოსავალი	369840	369840	369974
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	518043	594594	680970
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	892883	969434	1055944
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1056125	1072127	1156300
სულ მოკლევადიანი აქტივები	1036509	1051936	1138826
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	163242	102693	100356
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	260858	213502
საქონლის გაყიდვიდან	259979	213502
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	879	0
გაყიდვების თვითღირებულება	-165444	-121901

საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	95414	91601
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-58029	-57541
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-576	-180
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-80407	-70576
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-32953	-27392
სულ საოპერაციო ხარჯები	-171965	-155689
საოპერაციო მოგება	-76551	-64088
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	-768
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-76551	-64856
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-76551	-64856
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-76551	-64856
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	969434	1055944
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-21654
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	892883	969434

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	315286	252270
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-320673	-255645
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-5387	-3375
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-767
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	17432	21574
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12045	17432

შპს თბილისი ლაითინგის დირექტორი: /ა. ბერაძე/